# ცნობის ფურცელი

№ 1953 | ორშაბათი, 14 ოქტომბერი | 1896—1902 | ყოველ-დღიური გამოცემა | № 1953

**გაზეთის ფასი:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში განქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშუეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.



სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის

**დ ე პ ო**

(მუხრანიანთ ქუჩიდან) და

**მ ა ღ ა ზ ი ა**

(სასახლის ქუჩიდან)

ტელეფონი № 741.

გადავიდა ერთ შენობაში „სევერნი ნომრების" ქვეშ, კავკასიის მუზეუმის პირდაპირ (გოლოვინის პროსპექტის ახლო), ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товарищество фармацевтовъ, ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ, Фармацевтика. (0—26)

**საფაბრიკო საწყობი**

**ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა**

**გ. ი. პალლიზენ**

რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.
**ტფილისი,** გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო,** მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.
ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი № 679.** (0—59)

**ტფილისის**
**კერძო სამკურნალო**
**გედევანიშვილისა.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

**დ ი ლ ი თ:**

**გ. ი. ჟიჟინაძე**—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.
**ნ. ტ. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.
**გ. დ. ლამბაშიძე**—შინაგანი 9—10 საათამდე.
**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.
**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.
**ლ. ი. კამოევი.**—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.
**ქ. გ. ელიოზიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.
**დ. ა. გედევანიშვილი,** შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
**გ. გ. მანსვეტოვი.** შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 კვირაობით 9—11.
**ა. ზ. ბარხუძოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.
**ზ. გ. ამბარდანოვი**—სიფილისისა, კანის და საშარდესი 1—2 საათამდე.
**ზრ. გ. სობოლევსკი**—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.
**ა. ზ. მაღალაშვილი**—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)
სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანათიდამ ხუთამდე.
ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში).
ტელეფონი № 274. (წლ.)

**კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი**
ივანე პავლეს ძე
**ახალშენიშვილი**

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.
ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

**ე ქ ი მ ი**
**ვ. ს. მუსხელაშვილი**

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

**ე ქ ი მ ი**
ალექსანდრე გიორგის ძე
**მ ა ღ ა ლ ა შ ვ ი ლ ი**
(მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450).

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

**ე ქ ი მ ი**
დავით ალექსანდრეს ძე
**გედევანიშვილი**

იღებს შინაგანი, ნერვების სნეულებით და სწამლობს ელექტრონით საღამოს 5—6 საათამდის.
კიროჩნი ქუჩა, სახლი მარტინოვსკისა, საზაფხულო კრუჟოკის პირდაპირ. (45—14)

ქართველ თავად-აზნაურთა თეატრი
(ტელეფონი № 617)
დღეს, ორშაბათს, 14 ოქტომბერს, ხარკოვის საოპერო დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება

**ტრავიატა**

ოპერა 4 მოქ. მუსიკა ვერდისა.

**ალფრედის** პარტიას შეასრულებს **ა. პ. ბონაჩიჩი.**

**მონაწილეობას იღებენ:** ქ-ნნი: ვან-დერ-ბრანდტი, სკორუპსკისა, ბაუერი და სხვანი; ბ-ნნი: ბონაჩიჩი, პოლუიანოვი, პეტროვი, კაზიმირო-სვაბოდინი, პევცოვი და სხვანი. **კაპელმეისტერი** ლ. პ. შტეინბერგი. **ბალეტმეისტერი** მენაბენი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

კასსა ღიაა დილის 10-დან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღ. 6 საათიდან წარმოდგენის გათავებამდე.

ხვალ, სამშაბათს, 15 ოქტომბერს, წარმოდგენილი იქნება „ცარსკაია ნევესტა". მალე **ბენეფისი** იქნება არტისტის **ა. პ. ბონაჩიჩისა.** ბილეთები იყიდება. მზადდება წარმოსადგენად ოპ. **„მარგალიტების მაძიებელნი"**, მუსიკა ბიზესი.

სახელოვნო ნაწილის გამგე **ივ. ფითოევი.** (6. 0—21)

**ე ქ ი მ ი**
**ნ. ტ. მულინი**

იღებს ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებით ავადმყოფთ. დილით 11—1-დე. საღამოთი 4—6-მდე. სუდებნი ქუჩა, სახლი № 30.

**ცინკოგრაფია**

**წიგნებ. გამოც. ქართველთა ამხანაგობისა**

განქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.


## ახალი ამბავი

✦ გუშინ, 13 ოქტომბერს, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში ქალაქის მოურავის მოადგილეს მ. ს. შესტაკოვის თავმჯდომარებით, ერთის ხმოსნისა და არა ნაკლებ 6 კანდიდატისა ამოსარჩევად დამატებითი კრება ჰქონდათ ტფილისის მესამე საარჩევნო ნაწილის ამომრჩევლებს. კრება დაიწყო დილის 11 საათზე. დაესწრო 123 ამომრჩეველი, რომელთაგან 4 კაცს ჰქონდა ორ ორი ხმის უფლება. კენჭისყრამდე, საქალაქო დებულებით ზოგიერთ ფორმალურ წესების შესრულების შემდეგ, თავმჯდომარემ მოიწვია 8 კაცი ასისტენტებად და შეუდგნენ კენჭის ყრას. ყუთი დაიდგა სულ 18 კაცმა, რომელთაგან არ. მ. ახნაზაროვს ამოუვიდა 34 თეთრი კენჭი და 92 შავი, მიხ. ეგ. ბლეტკინს 64 თ. 63 შ., თ. ი. ბაღდანოვს 62 თ. 66 შავი, ვ. გ. ვარლამოვს 43 თ. 84 შ. იბრაჰიმ ბეკ ვექილოვს 47 თ. 80 შ., ნიკ. არტ. გრიქუროვს 73 თ. 43 შ., ი. კ. დოლინსკის 30 თ. 96 შ., ვ. ს. ელიაზაროვს 41 თ. 85 შ., ივ. ა. მარტინოვიჩს 49 თ. 78 შ., გ. პავ. მელიქ-კარაკოზოვს 78 თ. 50 შავი, ს. ს. მესტიაშვილს 48 თ. 79 შ., ან. ი. ნატროშვილს 39 თ. 88 შავი, თ. ს. ფანიაშვილს 31 თ. 96 შ., ი. ზ. ტატიშვილს 53 თ. 71 შ., ი. მ. ხრამელაშვილს 70 თ. 57 შ., ა. ი. ხრისანფოვს 27 თ. 99 შ., მ. ი. შარიფოვს 38 თ. 89 შ.

ამ რიგად ხმოსნად ამორჩეულ იქმნა გ. პ. მელიქ-კარაკოზოვი, ხოლო კანდიდატებად ნ. არტ. გრიქუროვი და ი. მ. ხრამელაშვილი. მიხ. იგ. ბლეტკინის შესახებ დაიბადა ეჭვი, ამორჩეულ იქმნა კანდიდატად თუ არა; კენჭი ჩააგდო 127 ამომრჩეველმა და რადგან მას ამოუვიდა 64 თეთრი კენჭი და 63 შავი, ამიტომ ზოგიერთმა ამომრჩევლებმა განაცხადეს, ბლეტკინი არჩეულად არ ჩაითვლება, რადგანაც ერთი კენჭი თეთრი თავის ყუთში თითონვე მას ჩაუგდია და, საქალაქო დებულებით, თუ ამ კენჭს გამოვრიცხავთ 64 ხმიდან, მაშინ მას დარჩება 63 თ. და 63 შავიო. თავჯდომარეს შეკითხვაზე ამომრჩეველთა უმრავლესობამ ბლეტკინი ამორჩეულად იცნო და ეს გარემოება ოქმშიაც იქმნა შეტანილი. შემდეგ ერთმა ამომრჩეველთაგანმა, არ. მ. ახნაზაროვმა, განაცხადა: ვთხოვ თავჯდომარეს დღევანდელ კრების ოქმში შეიტანოს ის გარემოება, რომ როდესაც მე მელიქ-კარაკოზოვის ყუთთან კენჭის ჩასაგდებად მივედი, ყუთთან დაყენებულმა ქალაქის გამგეობის მოხელემ ჯანაღოვმა ჩამჩურჩულა, მელიქ-კარაკოზოვს თეთრი კენჭი ჩაუგდეო. ა. ს. ბაბოვმა და ა. ბ. ევანგულოვმა განაცხადეს: თუ ახნაზაროვის წინადადება ოქმში იქნება შეტანილი, მაშ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იქ დამსწრე ამომრჩეველთა მოწმობით ჯანაღოვს არავისათვის არ უთქვამს ის, რაც ახნაზაროვმა განაცხადა. ასისტენტი ამირჯანოვი მოწმობს და თვით ჯანაღოვიც აცხადებს, რომ მას ახნაზაროვისათვის არ უთქვამს ის, რაც მან კრებაზე წარმოსთქვა. თავმჯდომარე შეეკითხა კრებას, ხომ არავისათვის უთქვამს ჯანაღოვს ის, რაც უთხრა ახნაზაროვს. ერთი კაციც არ ამდგარა და საერთოდ ითხოვეს ეს გარემოება ოქმში აღნიშნულიყო, რაც კიდეც შეასრულა თავმჯდომარემ. კრება დასრულდა ნაშუადღევის 1 საათზე.

✦ ამავე დღეს საღამოს 6 საათზე შესდგა აგრეთვე დამატებითი კრება ტფილისის მეორე საარჩევნო ნაწილის ამომრჩევლებისა ხმოსანთა კანდიდატების ამოსარჩევად. კრებას დაესწრო 21 ამომრჩეველი, რომელთაც ჰქონდათ 22 ხმა.

კენჭი ამოუვიდათ:
ი. ს. ალხაზიშვილს—3 თეთრი 19 შავი, ა. ა. ვარშამოვს—5 თ. 17 შ., ი. დ. კობიაკოვს—13 თ. 8 შ., გ. ა. კოწეწაშვილს—6 თ. 16 შ., ს. ი. ხანქალამოვს—19 თ. 2 შ. ამ რიგად კანდიდატებად ამორჩეულ იქმნენ ორი კაცი: ს. ი. ხანქალამოვი და ი. დ. კობიაკოვი. კრება დასრულდა საღამოს $6^{1}/_{2}$ საათზე.

✦ ხვალ, 15 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე სამეურნეო საზოგადოების სადგომში დანიშნულია რამდენისამე მიმდინარე საქმეების განსახილველად კავკასიის **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს** სხდომა.

✦ კავკასიის **სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა** პროგრამის სხვადა-სხვა მუხლებზე მოხსენების განსახილველად, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება დანიშნულია პარასკევს, 18 ოქტომბრისათვის, სამეურნეო საზოგადოების სადგომში, საღამოს 8 საათზე.

✦ როგორც აღვნიშნეთ, ტფილისის **ქალაქის საბჭოს** განსახილველად დღეს, 14 ოქტომბერს, დანიშნულია სულ 27 საქმე. სხვათა შორის საბჭო განიხილავს მოწერილობას ტფილისის გუბერნატორისას იმის შესახებ, რომ ქალაქის გამგეობას უარი მოუვიდა ტფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ; დადგენილებას საქალაქო საქმეთა საკრებულოსას, რომლითაც არ იქმნა დამტკიცებული ტფილისის სასწავლებელთა კომისიისათვის შემუშავებული ინსტრუქციის პროექტი; შემუშავებულ სავალდებულო დადგენილებათ ქალაქის სახლების დანომვრის შესახებ და სხვ.

✦ ტფილისის საგუბერნიო ექიმის განკარგულებით, მისი თანაშემწე რ. დ. მაჭავარიანი ამ დღეებში გაიგზავნა ტფილისის მაზრის სოფელ პრიუტში, სადაც რაღაც **გადამდები ხენი** მძვინვარებს მცხოვრებთა შორის.

✦ ჯუმათის ღვთის მშობლის ეკლესიის მღვდელი მამა დარჩია მადლობას უცხადებს იმ პირთ, რომელმაც თავისი წვლილი შესწირეს ჯუმათის ღვთის მშობლის ეკლესიას. აი სახელი და გვარი შემომწირველთა:

მღვდელმა სამსონ დარჩიამ 4 მან., მღვდელმა გიორგი ჩხარტიშვილმა 3 მან., ალექსი გოგუამ 3 მან. სოფიო ჩხარტიშვილისამ 4 მ. 10 შაური, სილიბისტრო დარჩიამ 20 მან., ელისაბედ დარჩიასამ 2 მან., პრიჩეტნიკმა იოსებ ჩხარტიშვილმა 2 მან., ნიკოლოზ ჩხარტიშვილმა, მაკო ჩხარტიშვილისამ, ებე ბილიხოძისამ, ივლიტე მექვაბიშვილისამ, ნესტან ჩხარტიშვილისამ, ეკა ჩხარტიშვილისამ, იასონ ჩხარტიშვილმა, თეო ჩხარტიშვილისამ, ელისო გოგუამ, გაბრიელ ჩხარტიშვილმა, მართა ბაჟელიძისამ, ილარიონ როყუამ და სერაფიონ ჩხარტიშვილმა—თითო მანეთი. ეკა ღლონტისამ—სამი აბაზი, ადათი ჩხარტიშვილისამ, იაკობ რუსიძემ, ალექსანდრე დარჩიამ, ნინო დარჩიასამ, ჯარისმან დოლიძემ, იესე ჩხარტიშვილმა, ანტონ დარჩიამ, ნიკოლოზ ჩხარტიშვილმა, ბესო ჩხარტიშვილმა, ილარიონ გოგუამ, ელმასი ბილიხოძისამ, ალმასხან ჩავლეშვილმა, იაკინთე მექვაბიშვილმა, მანუელ ჩხარტიშვილმა, გარდო დარჩიასამ, ივანე ბილიხოძემ, ეფემზო ჩხარტიშვილისამ, როსტომ ურუშაძემ, მიხეილ ხავთასმა, ივანე ჩხარტიშვილმა, ყაისარ ხავთასმა, ელისაბედ ხავთასისამ—ათ-ათი შაური. მაგდანა ჩხარტიშვილისამ, ესტატე ჩხარტიშვილმა, მარკოზ მექვაბიშვილმა, კირილე მექვაბიშვილმა, ირაკლი დარჩიამ, გიორგი ფირცხალაიშვილმა, გიორგი ბილიხოძემ (ახლა გარდაცვლილია), ივანე დარჩიამ, მარკოზ ჩხარტიშვილმა, ელისაბედ ბილიხოძისამ,—ორ-ორი აბაზი. სოფიო გოგუასამ, ფაქიზო მითაიშვილისამ—ექვს-ექვსი შაური. სპირიდონ ბილიხოძემ, ამბაკო ჩხარტიშვილმა, არსენ ჩხარტიშვილმა, პორფილე დოლიძემ—ხუთ-ხუთი შაური. ელისაბედ ბილიხოძისამ, იოსებ მექვაბიშვილმა, სამოელ დარჩიამ, გიორგი ტუღუშმა, სოფიო ჩხარტიშვილისამ, ნიკოლოზ გოგუამ—თითო აბაზი.

✦ ჯიხაიშის მთავარ-ანგელოზის ეკლესიის მღვდელი მამა ცხვარიშვილი უდრმესს მადლობას უცხადებს იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და ფრიდონიან-ჯიხაიშის მთავარ ანგელოზის ეკლესიის შესაკეთებლად შემოსწირეს ფულად ასი მანეთი (100 მან.). ამ სიკეთის შემომწირველნი: კონსტანტინე ტაბიძემ—52 მან., დავით მაისურაძემ—13 მან., ისაკ ჭიჭინაძემ—10 მან., გიორგი კილაძემ—15 მან. სიმონ ყიფიანმა—10 მან. აგრეთვე ბოჯაძემ ბ. ემელიანე დოდობერიძეს, რომელმაც მიიღო თავის-თავზე შრომა ამ შემოწირულების შეგროვებისა.

✦ წარსულ სექტემბრის განმავლობაში ახალციხის სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაში ექიმის დახმარებით ესარგებლნია სულ 377 კაცს. აქედან 198 კაცს, 65 ქალს და 114 ბავშვს.

✦ თითქმის მაზრის სოფელ ზენამხარში, როგორც გვატყობინებენ, უკანასკნელ ხანში განსაკუთრებით ბავშვებზე მეტად გავრცელებულა თურმე სხვა-და-სხვა გადამდები ავადმყოფობანი.

✦ ხუთშაბათს, 18 ოქტომბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე ქუთაისის გუბერნიის მცხოვრების ბახვა ოდიშარიასა, ექვთიმე გაჩეჩილაძისა და ზოსიმე სიგუასი, რომელთაც სდებენ ბრალს ბრალდებაში; იყიდონ შიხელაიას და მეტი წულეისკარისა, რომელთაც ყაჩაღობა ბრალდებათ და სხ.

### წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ, თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით სიმართლე აღვადგინოთ. მოგახსენებთ იმ კორესპონდენციების შესახებ, რომელიც ს. იანეთიდან დაიბეჭდა გაზეთ „ივერია“-ს № 39-ში, „ცნობის-ფურცლის“ № 1943-ში და „კვალი“-ის № 266-ში. ყველა ამ კორესპონდენციებში შეცდომით ერთნაირი აზრია გატარებული. მათის სიტყვით, ა) ვითომ იანეთელებს სკოლის შენობა 3000 მანეთი უჯდებოდეს იმ დროს, როდესაც ტეხნიკების გამოანგარიშებით, სკოლის შენობა 4765 მან. გვიჯდება; ბ) ვითომ ჩვენ მთავრობისაგან მხოლოდ 1000 მანეთის შემწეობა გვეთხოვოს. ათას მანეთს რომ მთავრობა გვაძლევს, ამის საბუთი კიდეც გუშაგები ჩვენ საზოგადოებას ეროდობაზე 25 აგვისტოს; საქმე ის არის, რომ საზოგადოების მიერ არჩეულმა სასწავლებლის შენობის აღმშენებელმა კომიტეტმა სკოლის გეგმა შეადგინა და შუამდგომლობა აღძრა მთავრობასთან; შუამდგომლობის წარდგენის დროს, ქუთაისის სახალხო სკოლების ინსპექტორმა ბ-მა მაჭავარიანმა თქვენს უმორჩილეს მონას, ამ სტრიქონების დამწერს, და მასწავლებელს ბ. გელაზონიას ასე გვითხრა: ათასი მანეთით უთუოდ შეგეწევით, მაგრამ ვეცდებით მეტი მოგცეთო. რასაკვირველია, უთუოდ „უნებლიეთის“ კორესპონდენტის შეცდომა, რისთვისაც არც ჩვენ ამთვიდებით ხმას, მაგრამ იმიტომ ვწერთ, რომ მთავრობას დასამტკიცებლად წარვუდგინეთ სასწავლებლის გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა 4765 მანეთის, ხოლო კორესპონდენტები სწერენ—სასწავლებლის შენობა 3000 მანეთამდე დაჯდებაო და გაი თუ ასეთმა უსაფუძვლო ხმების დაყრამ ამ კეთილ საქმეში ხელი შეგვიშალოს და მთავრობამ ნაკლები შემწეობა მოგვცეს *).

თავმჯდომარე იანეთის სკოლის აღმშენებელ კომიტეტისა **იოსებ ივ. კოპრიძე**

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 ოქტომბერი

**რიაზანი.** სპასკის საერობო კრებამ მადლობა გადაუხადა დაშკოვს, რომელმაც სახალხო განათლების საქმეს 51,000 მანეთი შესწირა.

**კონსტანტინოპოლი.** სოლუნის ვილაიეტიდან იუწყება, რომ ჯუმაისა, მელნიკისა, პეტრიჩისა და სტუმიცის ოლქების მცხოვრებნი ქალაქებში რჩებოდნენ ვითომ იმ აზრით, რომ ამნისტიას მოელოდნენო. მოლოდინი გაუმართლდათო.

*) ვბეჭდავთ ამ წერილს და თანაც ვაშვიდებთ იანეთელებს: შემწეობის მიცემისა და გეგმის დამტკიცების დროს მთავრობა იხელმძღვანელებს ოფიციალურის შუამდგომლობითა და ცნობებით და არა გაზეთების კორესპონდენციებით. კორესპონდენციებიდან ადგილობრივი მთავრობა დარწმუნდება მხოლოდ, რომ შემწეობის მიცემა საჭიროა, ხოლო შემწეობის რაოდენობას გამოარკვევად სხვა გზას აირჩევს. რედ.

**ნიუ-იორკი.** „ნევ-იორკ-ჰერალდი“ იუწყება, რომ ვენესუელამ გერმანიის მისიას პროტესტი გამოუცხადა შდ. ორინოკოზე სამდედრო გემის მოსვლისათვის. მისსიამ მიუგო, რომ გერმანიას აზრადა აქვს თავისი ინტერესები დაიცვას ვენეცუელაში.

**პეტერბურგი** დაწესებულ იქმნა პირდაპირ მატარებლების მიმოსვლა მოსკოვსა, ბაქოსა და ტფილისს შორის რიაზანსა, როსტოვსა და ბალაჯარაზე. სხვა მატარებლებში გადასვლა საჭირო აღარ იქმნება.

ქალთა შორის სასოფლო-სამეურნეო განათლების განმავრცელებელმა საზოგადოებამ მიწად-მოქმედების სამინისტროს გადასცა პროექტი, დედათა უმაღლესს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დაარსების შესახებ.

13 ოქტომბერი

**შაცკი.** გაიხსნა სამზრუნველო პირველ დაწყებით სასწავლებლების ღარიბ მოწაფეთათვის; ერობა ყოველ წელს მისცემს სამზრუნველოს 250 მან. შემწეობას.

**ლონდონი.** მეფე და დედოფალი მოვიდნენ აქ; ხალხი აღტაცებით მიეგება მათ. ჰინდგოლდში ადრესი მიართვეს. ბუკინჰემის სასახლეში დაბრუნების შემდეგ მათი უდიდებულესობანი ბალკონზე გამოვიდნენ; ხალხი აღტაცებით მიესალმა მათ.

**ადენი.** სომალის ქვეყანაში 23 სექტემბერს ბრიტანიის ჯარს თავს დაესხა მტერი, თუმცა ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს, მტერმა მაინც გაარღვია ინგლისელთა ჯარი და წაართვა მათ ერთი ზარბაზანი. ბოლოს მტერი მაინც ძლეულ იქმნა პოლკოვნიკ სვაინისაგან და ბრძოლის ველზე 62 მოკლული დატოვა; ინგლისელებს მოუკლეს 70 კაცი და 100 დაუჭრეს.

**ციციკარი.** ზაფხულში ჩინეთის აღმოსავლეთ რკინის გზაზე მუშაობა ორის თვით შეწყდა, მუშების წასვლის გამო, რადგან იქ ხოლერა გაჩნდა. ამისდა მიუხედავათ მატარებლების დროებითი მიმოსვლა 1 ივლისიდან დაიწყო. 1903 წ. განზრახულია დაარსონ ამ რკინის გზის მმართველობა.

**როსტოვი-დონზე.** აქ გაიარა პრინცმა ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურსკიმ მეუღლითურთ; ესენი კავკასიაში მიდიან.

**სოფია.** მთავრობა უარს ჰყოფს ცნობას ახალ ჯარების გაგზავნის შესახებ. მთავრობას არავითარი ნოტა არ გაუგზავნია ოსმალეთისათვის; ის ხოლოდ შუამდგომლობდა, რომ მაკედონიიდან გადასახლებულთ ნება მისცენ სამშობლოში დაბრუნებისა.

მაკედონელთა კომიტეტის თავმჯდომარე მიხაილოვსკი წავიდა ევროპის სახელმწიფოთა სატახტო ქალაქებში და პირველად ვენას.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრი ყირიმს წავიდა; მიმდინარე საქმეების მართვა დურნოვოს გადასცა.

გაზ. „ნოვოსტი“ იტყობინება, რომ ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა წესები, სახელმწიფო ბანკიდან სესხის გაცემის შესახებ იმ გემების საყიდლად, რომელნიც რუსეთში არიან რუსეთის მასალისაგან გაკეთებული.

**პეტერბურგის ბირჟა 11 ოქტომბერს**

გექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში | 93,90—93,95 |
| ბერლინზე 100 მარკაში | 45,95 |
| პარიზზე 100 ფრანკში | — |
| ლონდონზე ჩეკები | 94,65 |
| ბერლინზე „ | 46,25 |
| პარიზზე „ | |
| ბირჟის დისკონტი | $4^1/_2$—$6^1/_2$% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 97 მყიდ. |
| 4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. | 100 გაყიდ. |
| $4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ. | $94^1/_2$ მყიდვ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა. | $467^1/_2$ გაყიდ. |
| 5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 354 „ |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | $287^1/_2$ „ |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 94 „ |
| 6% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც. | — |
| $4^1/_2$% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა | — |
| ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |
| ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია | 179 „ |

**რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი**

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი. ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბათუმს**—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43) წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

**ბაქოს**—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ). 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. 1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

**ბორჯომს**—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. ( ს. 28 წ.)

**ყარსს**—№ 74/75 საღამ. 8 ს. წ. (9 ს. 28 წ.).

**ტფილისში მოდის:**

**ბათუმიდან**—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.)

**ბაქოდან**—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5. სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

**ბორჯომიდან**—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

**ყარსიდან**—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

**ბ) ბათუმიდან გამოდის:**

**ქუთაისისაკენ**—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

**გ) ქუთაისიდან გამოდის:**

**ქუთაისისაკენ**—1) ღამის 12 ს. 30 წ (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ).

**ბათუმისაკენ**—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 წ. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 ს). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

**შორაპნისაკენ**—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

### საავადმყოფოები:

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:**

**ავლაბრისა,** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა,** ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის,** უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი შ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

## განცხადებანი

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

**სამკურნალო,**

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—14)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

**კიოსკში,**

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაზნასი. | — | 10 |
| იოსებ დავითაშვილის ლექსები | — | 50 |
| ბნელი მოთხრობა—მელანიასი. | — | 20 |
| დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო | 1 | — |
| იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე | 1 | 50 |
| ი. ჭავჭავაძის I ტომი | — | 70 |
| იგივე II და III ტომი თითო | — | 60 |
| იგივე IV ტ. ორ წიგნათ. | — | 80 |
| სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა | — | 10 |
| სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა. | — | 40 |
| აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო. | — | 60 |
| რაფ. ერისთავის I ტომი | — | 60 |
| საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი | — | 20 |
| სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა. | 1 | 20 |
| აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა | — | 50 |
| სიბრძნე ბალავარისა | — | 30 |
| აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში | — | 15 |
| დვინის დაცემა პროფეს. გ. პეტრიაშვილისა | 1 | 50 |
| რძე, მისივე | 1 | 50 |
| ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა | — | 80 |
| დასტურ-ლამა | — | 20 |
| ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა | — | 50 |
| სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა. | — | 20 |
| ფიზიოლოგია—ფოსტერისა | — | 25 |

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ესევე წიგნები იყიდება **ქუთაისში,** ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

ახალი წიგნი

## ფიზიოლოგია

დ-რი ფოსტერისა

სურათებით

**ფასი 25 კ.**

იყიდება წიგნების გამომცემელ ამხ. კიოსკში, ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში.

ქუთაისში, ვ. ბექანეიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცლი“-ს №№-ბი, თითო №-რი 3 კ. დამატებით—5 კაპეიკ.

ერევნის მოედანი, № 3

## ფოტოგრაფია ა. ს. როინაშვილისა

(საკუთრება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა)

დასაჩუქრებული

**უმაღლესის ჯილდოებით.**

ფოტოგრაფიას მოეპოება მრავალგვარი კოლექცია კავკასიურ ტიპებისა და ბუნების სურათებისა, აგრეთვე **ახლად გადაღებული** სურათები საქართველოს არქეოლოგიულ ნაშთებისა.

ფოტოგრაფია ჰკისრულობს ყოველგვარს სამუშაოს იაფ ფასად: სურათების გადაღებას და უკვე გადაღებულის სურათების გადიდებას.

ფოტოგრაფიაში იყიდება ახალი სურათი **შ. რუსთაველისა,** გადმოღებული მხატვარის მუროვის სურათიდან, და აგრეთვე სურათები ჩვენის მწერლებისა და არტისტებისა. ერევნის მოედანი, სახლი № 3. (3—1)

Дозв. ценз. Тифлисъ, 13 Октября, 1902 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).